



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1741  
02/10/2018

ქალაქი ბათუმი

1741-05-4-201810021541



**სოფიო მურვანიძეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელზე მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 10 სამუშაო დღის მიცემისა და შორენა ზაქარაძეზე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური პროგრამების მართვის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსზე, სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის დაკისრების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი, მე-3 პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-9 პუნქტისა და სოფიო მურვანიძის 2018 წლის 28 სექტემბრის №2824-05 განცხადების შესაბამისად **გბრძანებ:**

1. სოფიო მურვანიძეს – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის I რანგის ხელმძღვანელს, მიეცეს მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულებიდან 10 სამუშაო დღე, 2018 წლის 01 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით.

2. შორენა ზაქარაძეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური პროგრამების მართვის განყოფილების II რანგის II კატეგორიის უფროსს, დაეკისროს ამავე სამსახურის ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის შესრულება, ამ თანამდებობაზე მომუშავე სოფიო მურვანიძის ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდით, 2018 წლის 01 ოქტომბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით.

3. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა